ამა წლის 25 დეკემბერს, 16 საათზე, Zoom-ის გამოყენებით, ჩატარდება სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციაზე თითოეული ფაკულტეტიდან გამოვა 4-4 სტუდენტი (სულ 8 სტუდენტი). ეს მხოლოდ ისეთი სტუდენტები უნდა იყვნენ, რომლებმაც მიმდინარე წელს საფაკულტეტო კონფერენციაზე უკვე მიიღეს მონაწილეობა, მომხსენებლების რანგში.

საუნივერსიტეტო კონფერენციაზე იქნება შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები:

- სპორტულ პედაგოგიური მიმართულება;
- მედიკო-ბიოლოგიური მიმართულება.

მწვრთნელთა ფაკულტეტიდან უნდა შეირჩეს ისეთი სტუდენტები, რომლებიც თავიანთი სტატიებით ყველაზე მეტად შესაბამისნი იქნებიან სპორტულ-პედაგოგიურ მიმართულებასთან (მხოლოდ სპორტის ამა თუ იმ სახის ირგვლივ დაწერილი სტატიები; მათი კვლევა, სტატისტიკა);

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტიდან კი ისეთები, რომლებიც ყველაზე მეტად იქნებიან შესაბამისნი მედიკო-ბიოლოგიურ მიმართულებასთან (სტატიები სპორტული რეაბილიტაციის საკითხებზე, ან უკიდურეს შემთხვევაში, მასთან ძალიან ახლოს მდგომ თემატიკებზე დაწერილი შრომები).

ტექსტის პარამეტრებია: A4, 11 შრიფტი, sylfaen-ი, 3-5 გვ.; აბსტრაქტი, საკვანძო სიტყვები, შესავალი, კვლევის პროცედურა, მიღებული შედეგები, კვლევის შედეგების განხილვა, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურა. მოხსენების მაქსიმალური დრო: 12 წუთი., კითხვა პასუხი: 3-7 წთ.).

აღნიშნული კონფერენციის მასალებს განვათავსებთ უნივერსიტეტის საიტზე, მეცნიერების განაყოფში., თითოეულს გადაეცემა შესაბამისი სერთიფიკატი., იმ სტუდენტებს კი, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოიჩენენ თავს, შესაძლებლობა მიეცემათ მომავალში ჩაერთონ უნივერსიტეტთაშორისო/რესპუბლიკურ კონფერენციაში.